ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა

დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის

2025 წლის 21 იანვრის ბრძანებით №65.65250212

1. კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);

2. ვანის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (იანვარი-თებერვალი);

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი-თებერვალი);

4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ (თებერვალი-მარტი);

5. ვანის მუნიციპალიტეტში 2025 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა (თებერვალი-მარტი);

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2024 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ (მარტი);

7. ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);

8. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი-აპრილი);

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (წლის განმავლობაში);

10. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება (აპრილი-ივლისი);

11. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (წლის განმავლობაში);

12. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა (წლის განმავლობაში);

13. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

14. 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი-დეკემბერი);

15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).